ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**g-95. 95252203**

თარიღი:**08/08/2025**

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა–ნაგებობების გამოყოფის შესახებ სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-9 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნებისათვის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს ის შენობა–ნაგებობები, სადაც შესაძლებელია საარჩევნო სუბიექტის მიერ წინასაარჩევნო ღონისძიებების ჩატარება, თანახმად დანართი №1-სა.
2. წინამდებარე განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერს - როლანდი ბერიძეს.
3. წინამდებარე განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.keda.gov.ge) გამოქვეყნება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა–ნაგებობების გამოყოფის შესახებ, სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს №g-95.95242435 განკარგულება.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი